REDEMOS

RECONFIGURING EU DEMOCRACY SUPPORT. TOWARDS A SUSTAINED DEMOS IN THE EU'S EASTERN NEIGHBOURHOOD

პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 6

სად და როგორ არის ყველაზე მყარად ფესვგადგმული ავტორიტარული კონტროლი? აზერბაიჯანისა და ბელარუსის მაგალითები

მარიანა კნეუერი და მურად ნასიბოვი

დეკემბერი, 2025 წ.

Funded by the European Union

The REDEMOS project has received funding from the European Union's Horizon Europe research and innovation programme under grant agreement No 101061738. The Associated Partner University of Surrey has received funding from UK Research and Innovation (UKRI) under the UK government's Horizon Europe funding guarantee under grant number 10040721. The Associated Partner University of St. Gallen has received funding from the Swiss State Secretariat for Education, Research and Innovation (SERI). Views and opinions expressed are, however, those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union, UKRI and SERI. Neither the European Union nor UKRI or SERI can be held responsible for them.

კონტექსტი (საკითხის ზოგადი მიმოხილვა)

ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებს შორის სპეციფიკურ განსხვავებას რეჟიმების განვითარების ტრაექტორიებს შორის არსებული მზარდი კონტრასტი ქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ამ გზაზე მოხდა დემოკრატიული ცვლილებები და იყო ნაწილობრივი კონსოლიდაციის პერიოდებიც, ზოგი ქვეყნის სვლა სრულიად საპირისპირო გეზით წარიმართა, რამაც **გრძელვადიანი ავტორიტარული მმართველობის დამკვიდრება განაპირობა**. ამ მხრივ რეგიონში ყველაზე ხანგრძლივი დახურული ავტოკრატიის ორი მაგალითია აზერბაიჯანი და ბელარუსი – ამ ორივე ქვეყნის რეჟიმები დიდი ხანია საკმაოდ მდგრადია მნიშვნელოვანი დემოკრატიული ცვლილებების მიმართ.

ევროკავშირის მხრიდან დემოკრატიის მხარდაჭერა ტრადიციულად მიმართულია გარდამავალ პერიოდებზე, დემოკრატიულ უკუსვლაზე ან რეფორმების "შესაძლებლობათა ფანჯრის" გახსნაზე. ეს მხარდაჭერა ნაკლებად ეფექტურია, როდესაც ავტორიტარული მმართველობა უკვე **ინსტიტუციურად არის გამყარებული და პოლიტიკურად სტაბილიზებული**. ასეთ დროს გარე ჩართულობას ექმნება არასწორი გათვლების რისკი, თუ სათანადოდ არ არის გათვალისწინებული, პრაქტიკულად როგორ ხდება ავტორიტარული კონტროლის შენარჩუნება. ამიტომ დემოკრატიზაციის პროცესის წარუმატებლობის მიზეზების ახსნის ნაცვლად, წინამდებარე პოლიტიკის მოკლე მიმოხილვაში პოლიტიკოსებისათვის დავსვამთ პრაქტიკულ კითხვას: **სად იზღუდება ყველაზე ძლიერად დემოკრატიული მმართველობის პროცესი?**

აზერბაიჯანისა და ბელარუსის მაგალითები ცხადყოფს, რომ ავტორიტარიზმის მდგრადობა ერთგვაროვანი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანა დახურული ავტოკრატიის მაგალითია, მათი ინსტიტუციური სტრუქტურები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. აზერბაიჯანში ავტორიტარული წესრიგი ემყარება აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირებას, კონტროლირებულ არჩევნებსა და სასამართლო სისტემის მმართველი რეჟიმისთვის დაქვემდებარებას, რაც შერწყმულია ტექნოკრატიულ მმართველობასთან და ელიტების კოჰაბიტაციასთან. ბელარუსში კი, ამის საპირისპიროდ, ავტორიტარული მმართველობა გაძლიერდა სამოქალაქო საზოგადოების სრულად გაჩუმებით, აკადემიური და კულტურული თავისუფლების მიმართ რეპრესიებითა და სასამართლო სისტემის პოლიტიზებით, განსაკუთრებით, 2020 წლის პროტესტების ძალადობრივი ჩახშობის შემდეგ.

ამ განსხვავებათა გათვალისწინება მნიშვნელოვანია სათანადო პოლიტიკის შემუშავებისთვის. დახურული ავტოკრატიების ერთ კატეგორიად განხილვამ შეიძლება ინსტიტუციური სისუსტეებისა და ურთიერთქმედების პოტენციური შესაძლებლობების უგულებელყოფა გამოიწვიოს. წინამდებარე მიმოხილვა, რეჟიმის დინამიკასა და ინსტიტუციურ შეზღუდვებზე ფოკუსირებით, ქმნის **რეჟიმების სპეციფიკის მიხედვით დემოკრატიის მხარდაჭერის** გარკვევის საფუძველს, რაც თავიდან აიცილებს ერთნაირ მიდგომებს და ჩართულობას მოარგებს ავტორიტარული კონტროლის კონკრეტულ კონფიგურაციას.

მტკიცებულებები, ანალიზი და შედეგები *(ძირითადი დასკვნები)*

წინამდებარე კვლევა V-Dem ლიბერალური დემოკრატიის ინდექსისა და ექსპერტთა მონაცემებზე დაფუძნებული თვისებრივი ანალიზის გამოყენებით გამოყოფს იმ ინსტიტუციურ სფეროებს, რომლებიც დამკვიდრებული დახურული ავტოკრატიის პირობებში **ყველაზე მდგრადია.**

აზერბაიჯანი (დახურული ავტოკრატია დამკვიდრებულია 1995 წლიდან)

ავტორიტარული რეჟიმის მდგრადობა ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

- **სასამართლო სისტემის დაქვემდებარება,** მათ შორის, უმაღლესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) გადაწყვეტილებების სისტემატური შეუსრულებლობა
- **აღმასრულებელი ხელისუფლების დომინირება მინისტრთა კაბინეტის დანიშვნისას,** რაც პრაქტიკულად აუქმებს ჰორიზონტალურ ანგარიშვალდებულებას
- **არჩევნებით მანიპულირება,** რის შედეგადაც, არჩევნები მხოლოდ ფორმალურ პროცედურულ პროცესად იქცევა
- არჩევნებთან დაკავშირებული დაშინება, რომელიც სულ უფრო მეტად ინსტიტუციონალიზდება სამართლებრივი და ბიუროკრატიული მექანიზმების მეშვეობით

ეს მექანიზმები აკანონებს კონტროლს, არჩევნებს აქცევს რიტუალად და შლის ანგარიშვალდებულებას, ინარჩუნებს რა ამავდროულად მმართველობის ტექნოკრატიულ ფასადს.

ბელარუსი (დახურული ავტოკრატია დამყარდა 2022 წლიდან)

ავტორიტარული კონსოლიდაცია ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ ფართომასშტაბიანი რეპრესიებით,** ასევე ასეთი ორგანიზაციების იძულებითი ლიკვიდაცია და პროცესის კრიმინალიზაცია
- **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემოსვლისა და გასვლის მკაცრი კონტროლი** ორგანიზაციული პლურალიზმის აღმოფხვრის მიზნით
- **აკადემიური და კულტურული თავისუფლების შეზღუდვა** და, შედეგად, ინტელექტუალური იზოლაცია
- **დაბალი ინსტანციის სასამართლოების პოლიტიზება**, რაც სასამართლო სისტემას რეპრესიების ინსტრუმენტად აქცევს

ბელარუსის ამჟამინდელი რეჟიმი უფრო წარმოადგენს **რეპრესიების ინსტიტუციონალიზაციას, როგორც სტაბილიზაციის მექანიზმს**, და არა – შერჩევით თუ ადაპტაციურ ავტორიტარიზმს.

რეკომენდაციები

აზერბაიჯანი

ევროკავშირის შეზღუდული შესაძლებლობებისა და ინტეგრაციის გზიდან აზერბაიჯანის გადახვევის გათვალისწინებით, დემოკრატიის მხარდაჭერა უნდა იყოს **ეტაპობრივი, პრაგმატული და რეჟიმის სპეციფიკის შესაბამისი,** კერძოდ:

- **ორმხრივი მიდგომის მიღება,** რომელიც აერთიანებს არასაჯარო ინსტიტუციურ თანამშრომლობას, სამოქალაქო საზოგადოების ავტორიტეტული პირების შერჩევითი მხარდაჭერით.
- **უპირატესობა მიენიჭოს ტექნიკურ თანამშრომლობას** (TAIEX, Twinning, CIB პროგრამები), გაძლიერდეს ბიუროკრატიული პროფესიონალიზმი, გამჭვირვალობა და ადმინისტრაციული მიკვლევადობა
- **სასამართლო ხელისუფლების ჩართულობა ფოკუსირდეს პროცედურების პროგნოზირებადობაზე,** მათ შორის, გამჭვირვალე დისციპლინარულ მექანიზმებზე, ანონიმურ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და უნარებზე დაფუძნებული ტრენინგებზე.
- **არჩევნების ადმინისტრირების სფეროში რეფორმების მხარდაჭერა,** რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სიების, საჩივრების შეტანისა და ხმის დათვლის მექანიზმების ჩამოყალიბებას და არა – პოლიტიკურ კონკურენციას.
- **არჩევნებთან დაკავშირებული დაშინების მასშტაბების შემცირება** კონფიდენციალური ანგარიშგების სისტემების, იურიდიული დახმარებისა და დოკუმენტების მართვის ტრენინგის საშუალებით.

მოკლევადიანი ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს სასამართლო ხელისუფლებისა და არჩევნების ორგანიზების გამჭვირვალობას; საშუალოვადიანი თანამშრომლობა ორიენტირებული უნდა იყოს კვალიფიკაციის ასამაღლებელ რეფორმებზე; გრძელვადიანი სტრატეგიები კი მიზნად უნდა ისახავდეს ბიუროკრატიის დემონოპოლიზაციას.

ბელორუსი

იმ პირობებში, როდესაც თანამშრომლობის ყველა ოფიციალური არხი შეჩერებულია, ევროკავშირმა ყურადღება უნდა გაამახვილოს **შესაძლებლობების შენარჩუნებასა და გარდამავალი პერიოდისთვის მომზადებაზე**, კერძოდ:

- **ემიგრაციაში წასული სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება** – დიასპორული ცენტრების საქმიანობის გაფართოება და გარდაქმნა იურიდიული დახმარების, დოკუმენტაციის მიწოდებისა და სამოქალაქო განათლების საკოორდინაციო პლატფორმებად.
- **აკადემიური და კულტურული ავტონომიის შენარჩუნება** Academic Freedom Fund-ის საქმიანობის მეშვეობით, Erasmus+-ისა და Marie Skłodowska-Curie-ის პროგრამებსა და ციფრული აკადემიური ინფრასტრუქტურის პროგრამებზე წვდომის ხელშეწყობით.
- **კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისთვის მომზადების მხარდაჭერა ემიგრაციაში,** მათ შორის, სასამართლო რეფორმის გეგმებისა და გარდამავალი მართლმსაჯულების ჩარჩო-პროგრამების შემუშავება.
- **ემიგრაციაში წასულ სამოქალაქო აქტორებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება**, კრაუდფანდინგის პლატფორმების, დამოუკიდებელი მედიისა და კოლექტიური დაფინანსების მექანიზმების მხარდაჭერა.

სანქციები კვლავაც უნდა იყოს მიზნობრივი და შექცევადი, ევროკავშირის მხარდაჭერის პრიორიტეტად კი უნდა იქცეს **ინსტიტუციური უწყვეტობა, ექსპერტული ცოდნის გაღრმავება და დემოკრატიისთვის გრძელვადიანი მზადყოფნის განმტკიცება**.

სრული ტექსტი REDEMOS-ის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვის – რეჟიმული კლასტერები და დემოკრატიზაციის გამოწვევები ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში: აზერბაიჯანსა და ბელარუსში — ხელმისაწვდომია ბმულზე https://redemos.eu/resources/publications/policy-papers /

REDEMOS: REconfiguring EU DEMOcracy Support.
Towards a sustained demos in the EU's Eastern Neighbourhood

REDEMOS- 101061738
HORIZON-CL2-2021-DEMOCRACY-01-04

Dr Mădălina Dobrescu, NTNU
info@redemos.eu

redemos.eu @REDEMOS_eu REDEMOS Horizon Europe Project